სსიპ შოთა რუსთაველი ს
საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდი

2 თებერვალი 2024 **ქ. თბილისი**

გენერალური დირექტორის

ბრძანება № 05

სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის იულიხის კვლევითი ცენტრის ერთობლივ საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტების დამტკიცების შესახებ

„სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის იულიხის კვლევითი ცენტრის ერთობლივი საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2011 წლის 30 დეკემბრის N226/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის, „სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის იულიხის კვლევითი ცენტრის ერთობლივი საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ“ სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2023 წლის 7 ნოემბრის N163 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის პირობების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საერთაშორისო ურთიერთობებისა და ფონდების მოზიდვის სამსახურის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (N108476; 02.02.2024) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამკიცდეს სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის იულიხის კვლევითი ცენტრის ერთობლივ საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტები:

N	პროექტის შიფრი	პროექტის სახელმწოდება	საქართველოდან გამგზავნი უნივერსიტეტი
1	JFZ-23-058	ტვინის შეშუპება და მაღალკალორიული კვება	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

2	JFZ-23-021	GPR მონიტორინგის სისტემის ოპტიმიზაცია და დამოწმება მაღალი გარჩევადობის ნიადაგის გამოკვლევებისთვის	საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი
3	JFZ-23-015	ოპტიკური სისტემების გამოსახულების ხარისხზე თერმო-მექანიკური ზეგავლენის მინიმიზაცია	საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი
4	JFZ-23-037	ბაქტერიული კავშირები და ურთიერთქმედება.	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

2. გამარჯვებული პროექტის ავტორმა არაუგვიანეს 2024 წლის 16 თებერვლის 18:00 საათისა სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდის კანცელარიაში (შემდგომში - ფონდი) უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

ა) მოწვევის წერილის ორიგინალი;
ბ) საგრანტო პროექტი და ცენტრში განსახორციელებელი სამეცნიერო კვლევის გეგმის ორიგინალი;
გ) მიზნობრივი ანგარიშის რეკვიზიტები – ამ პროექტისათვის გახსნილი მიზნობრივი საბანკო ანგარიშის ნომერი, რომელზეც ჩაირიცხება გრანტის თანხა და ცნობა ბანკიდან, რომ აღნიშნულ ანგარიშზე არ დაირიცხება სარგებელი.

3. დაევალოს ფონდის ადმინისტრაციულ და იურიდიულ დეპარტამენტს გამარჯვებული პროექტის ავტორთან საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არაუგვიანეს 2024 წლის 7 მარტისა.
4. დაევალოს ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურს, ამ ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე.
5. ბრძანება ძალაშია მხარეებისათვის გაცნობისთანავე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი №64).

თეიმურაზ დოჭვირი

თ. დოჭვირი